ხელშეკრულება № 33

ქ. მცხეთა

05 დეკემბერი 2016წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თვითმმართველ თემის "მცხეთის მუნიციპალიტეტის" საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი კუკულაძის სახით, და მეორეს მხრივ, ი/მ „ხატია მჭედლიშვილი", (შემდგომში მიმწოდებელი)წარმოდგენილი მისი დირექტორის **ხატია მჭედლიშვილის** სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

კომპიუტერული მოწყობილობების (პრინტერი HP1020, უკაბელო მაუსი, ოპერატიული მეხსიერება ddr2 1gb) (CPV 30200000) შეძენა (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 298.0 (ორასოთხმოცდათვრამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით მროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის ანგარიშ-ფაქტურის/ზედნადების საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის/ზედნადების საფუძველზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან ანგარიშ-ფაქტურა/ზედნადები -ზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ცენტრის დირექტორი -ბადრი კუკულაძე

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. მცხეთა

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების წამოჭრის პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 10 იანვრამდე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ქ. მცხეთა, სამხედროს №20 **მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში** **ბანკის სახელმწიფო ხაზინა** ა/ ა: GE24LB0330100200165022 კოდი: TRESGE22 საიდენტ.კოდი № 436036193	ი,მ "ხატია მჭედლიშვილი" ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ№93 მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი „ ა/ა GE33LB0112111045731000/ /GEL/ ბანკის კოდი LBRTGE22 საიდენტ.კოდი №24001044420
ა(ა)იპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის **დირექტორი ბ. კუკულაძე** _____	**დირექტორი – ხ. მჭედლიშვილი** _____